# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 152. ხუთშაბათი, 18 სექტემბერი 1903 წ. გაზეთის № 2267.

2 მანეთი და 60 კაპ. ღირს ყოველ-დღიური გაზეთი ცნობის ფურცელი კვირაში ორის სურათებიანის დამატებით, 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე.

### ვუძღვნი დედებს

ცრემლი მხოლოდ მაშინ მინდა,
გულს ფოლადათ ჩაეკვესოს,
გრდემლათ მივცე იგი ჩემს შვილს,
რომ ნაღველში გამოლესოს.

—

ნაღველი კი მხოლოდ მისთვის,
რომ მიტირის მაინც გული,
მშობელი ვარ, კიდეც ვიცი
ჩემი პირმშოს სიყვარული!

—

მიტომ, შვილო, ჩემი ცრემლი
შენ ფიალად მოიხმარე,
ნაღველი კი სიყვარულად,
ჩემო კარგო, შენ იკმარე.

—

ნუ მკითხავ, რომ გაგიმეტე,
მაგისთვისა გზდიდი დედა,
რომ მტარვლისთვის როგორც გშვენის
გმირს სიტყვები გაგებედა!

—

არა გზდიდი ფუფუნებით
და აიტან კიდეც ტანჯვას,
ვენაცვალე გამოჯეკილს
ცხოვრებაში მაგ შენ მაჯას!

—

როცა თრთოლვით მე ქუჩაზე
ხელს გავიწვდი საგლახაოთ
დავრდომილი და ბებერი,
უვარგისი სააქაოთ,

—

მაშინ, შვილო, მოვიგონებ
სისხლით ნაბან შენ სახესა,
თრთოლვით უკან წამოვიღებ
სამოწყალოდ გაწვდილ ხელსა!

—

დეე, მოვკვდე, მითომ რაა?
მე ხომ ვიყავ დედა შენი!
და შვილი კი გამოგზარდე
განთიადის დასამშვენი!

—

ცრემლი მხოლოდ მისთვის მინდა,
გულს ფოლადად ჩაეკვესოს,
გრდემლად მივცე იგი ჩემს შვილს,
რომ ნაღველში გამოლესოს!

ი. ევდოშვილი.



ცისკარი
სურათი ზეიფერდისა.

* * *

დილის ნიავი განთიადს
მწარე ცრემლებით სტიროდა,
ღრუბლებში ჩაისრებულსა
მზეს ნაპერწკლები სცვიოდა.

—

ცა იხსნებოდა წითლათა,
იღებებოდა სისხლითა,
და ნიავიკი ქროლავდა
კვნესა, ვაება, ვიშითა.

—

გაჩუმებულა ბულბული,
რა დროს სტვენაა, გალობა?
გულს ეკითხება, არ გშვენის
ბუჩქებში ფრთხიალ-დაღობა.

—

ჭხედავ ვარდების თაიგულს,
გააქვ-გამოაქვს ქარიშხალს;
მას დედამიწა დაჭკლოვობს,
და ცაკი... ცაკი მას რისხავს.

—

ოხ, ჩქარა მეხი, მედგარი,
მოხდეს, რაც მოსახდენია,
ენა სდუმს, გული მიკვნესის,
გარშემოც ცეცხლის გენია.

—

ღრუბლის ქარავანს შევყურებ,
ჩრდილი რო მოუფენია,
სცვივა თაიგულს ფოთლები,
განთიადს მოუწყენია.

—

ასე ჭკვნესოდა ბულბული,
ასე მოსთქვამდა ჩუმათა,
ჩანგი მოეწყო საზაროთ
და ცრემლი თაიგულათა.

—

და მასთან დილის ნიავიც
განთიადს მწარედ სტიროდა,
ღრუბლებში ჩაისრებულსა
მზეს ნაპერწკლები სცვიოდა.

ი. ევდოშვილი.



მაცთური.—სურათი დ:ლისა.

# მოხელის სიკვდილი

ან. ჩეხოვისა.

ერთ მშვენიერს საღამოს არა ნაკლებად მშვენიერი ეგზეკუტორი ივანე დიმიტრისძე ჩერვიაკოვი პარტერში იჯდა, მეორე რიგში, დურბინდით უყურებდა სცენას, სადაც ადგენდნენ „კორნევილის ზარებს“, და დიდს სიამოვნებას ჰგრძნობდა. მაგრამ.. საზოგადოდ მოთხრობებში ძალიან ხშირად შეჰხვდება კაცი ამ „მაგრამ“-ს. ავტორები მართალნი არიან: ცხოვრება სავსეა ათას-გვარ შემთხვევით .. მაგრამ სახე შეექმუხვნა, თვალებმა იწყეს აქეთ-იქით სრბოლა, სულთქმა შეეხუთა, დურბინდი ძალა უნებურად თვალებიდან მოიშორა, წელში მოიხარა და... ააფცხე!!! როგორც ჰხედავთ, ცხვირს დააცემინა. ცხვირის დაცემინება საზოგადოდ არავისთვის სათაკილო არ არის. აცემინებენ ცხვირს გლეხებიც, პოლიციის უფროსებიც და ხანდისხან თვით საიდუმლო საბჭოს მოხელენიც. ერთის სიტყვით, ყველანი აცემინებენ ცხვირს. ჩერვიაკოვს სულაც არ მოსვლია აზრად, რომ ამ დაცემინებით რამ სათაკილო ჩაედინოს. ცხვირსახოცით შეიწმინდა ცხვირი და, როგორც დარბაისელ კაცს შეეფერება, მიიხედ-მოიხედა გარშემო, რათა დარწმუნებულიყო, ცხვირის დაცემინებით ხომ არავინ შევაწუხეო. მაგრამ აქ-კი შერცხვა ჩვენს ჩერვიაკოვს: შენიშნა ერთი მოხუცი, რომელიც იმის წინ იჯდა, პირველ რიგში, და წყნარად იწმენდდა გათეთრებულს თმებსა და კისერს ხელთათმანით და რაღაცას ბუტბუტებდა. დააცქერდა ჩერვიაკოვი ამ მოხუცს და იცნო. გენერალი ბრიზჟალოვი იყო, რომელიც რკინის გზათა გამგეობაში მსახურებდა.

„უთუოდ წინწკლები მოჰხვდა!“—გაიფიქრა ჩერვიაკოვმა. თუმცა ჩემი უფროსი არ არის, სხვისია, მაგრამ მაინც ცუდი მდგომარეობაა. ზრდილობა მოითხოვს, ბოდიში მოვიხადო იმის წინაშე“.

ჩერვიაკოვმა ჩაახველა, წაიხარა იმისკენ და ჩუმად წასჩურჩულა ყურში:

— მაპატიეთ, თქვენო —ღებავ, წინწკლები მოგახვედრეთ... მე...ისე, უცაბედად...

— არა უშავს-რა, არა უშავს-რა...

— თუ ღმერთი გრწამთ, გთხოვთ მაპატიოთ. მე ხომ... მე არა მსურდა..

— აჰ, გთხოვთ დაბძანდეთ! ნუ მიშლით ყურის გდებას!

ჩერვიაკოვს შერცხვა, სულელურის გამომეტყველებით გაიღიმა და დაუწყო ყურება სცენას. უყურებდა, მაგრამ წინანდელებრ სიამოვნებას ველარა ჰგრძნობდა. სტანჯავდა ეს არა სასურველი მდგომარეობა. ანტრაქტში კვლავ მიუახლოვდა ბრიზჟალოვს, ჯერ რამდენსამე ხანს გვერდთ მისდევდა და შემდეგ დასძლია თავის გაუბედაობას და წაიბუტბუტა:

—- მე თქვენ გაგწუწეთ, თქვენო —ღებავ... მაპატიეთ... მე ხომ... ის კი არ იფიქროთ, რომ. .

— აჰ, გეყოფათ... მე დამავიწყდა კიდევაც და თქვენ კი კვლავ იმაზედ მესაუბრებით!—წარმოსთქვა ეს გენერალმა და შეათამაშა ქვემოთა ტუჩი.

„დამავიწყდაო, გაიძახის და იმისი თვალები კი სულ სხვას ამბობენ,—გაიფიქრა ჩერვიაკოვმა, თან იჭვიანად ათვალიერებდა გენერალს.—ეტყობა, ლაპარაკიც არ უნდა ჩემთან. უნდა აუხსნა, რომ სრულიადაც არა მსურდა... რომ ბუნებრივი კანონია ცხვირის დაცემინება, თორემ გაიფიქრებს, ვითომც იმისთვის შეფურთხება მსურდა. სულ ერთია, თუ ეხლა არა ფიქრობს ამას, შემდეგ მაინც გაიფიქრებს!..“

როდესაც სახლში მივიდა, ჩერვიაკოვმა გადასცა თავის ცოლს ამ უზრდელობის ამბავი. როგორც ეჩვენა, ცოლი ძალიან უგულოდ მოეპყრა ამ შემთხვევას. პირველად ძალიან შეეშინდა, მაგრამ შემდეგ, როდესაც გაიგო, გენერალი ბრიზჟალოვი „უცხო“ იყო, დამშვიდდა.

— მაინც უნდა მიხვიდე იმასთან და ბოდიში მოიხადო!—წარმოსთქვა იმან.—თორემ იფიქრებს, რომ საზოგადოებაში თავის დაჭერა არა გცოდნია.

— საქმეც ეგ არის და! მოვიხადე ბოდიში, მაგრამ იმან როგორღაც... არც ერთი პატიოსნური პასუხი არ მომცა... თუმცა არც სალაპარაკო დრო იყო...

მეორე დღეს ჩერვიაკოვმა ჩაიცვა ფორმის ახალი ტანისამოსი, სადალაქოში თავი გაიკრიჭა, წვერი მოიპარსა, გასუფთავდა და წავიდა ბრიზჟალოვთან, რომ აეხსნა იმისთვის არა სასურველი შემთხვევა. როდესაც მისაღებ ოთახში შევიდა, იქ ბევრი მთხოვნელი დაუხვდა. თვით გენერალიც შენიშნა, რომელსაც რამდენიმე მთხოვნელი მიეღო კიდეც. გამოჰკითხა რა რამდენსამე მთხოვნელს, გენერალმა თვალები შეაჩერა ჩერვიაკოვს.

— გუშინ „არკადიაში“, თუ რომ მოგაგონდებათ, თქვენო — ღებავ, — დაიწყო ჩერვიაკოვმა: — ცხვირს დავაცემინე და ძალა უნებურად.. მაპატ..

— რა უმნიშვნელო საგნებზედ მელაპარაკებით... არ ვიცი, ღმერთმანი, რას მივაწერო თქვენი ქცევა... რა გნებავთ?— მიჰმართა გენერალმა შემდეგს მთხოვნელს.

„ლაპარაკიც-კი არა ჰსურს ჩემთან!—გაიფიქრა მთლად გაფითრებულმა ჩერვიაკოვმა.—როგორც ეტყობა, ძალიან გაჯავრებული უნდა იყოს ჩემზედ. არა, ყოვლად შეუძლებელია ამ საქმის ასე დატოვება.. ავუხსნი...“

როდესაც გერენალმა გაათავა ლაპარაკი უკანასკნელს მთხოვნელთან და გაემართა შიდა ოთახებისაკენ, ჩერვიაკოვმა გადასდგა წინ რამდენიმე ნაბიჯი და წაილუღლუღა:

— თქვენო — ღებავ, მე თუ ნებას ვაძლევ თავს შევაწუხო თქვენი— ღება, იმიტომ ჩავდივარ ამას,რომ სინიდისი მაწუხებს... მე ხომ ძალად არა მსურდა. . თქვენ კარგად იცით...

„აქ რა დაცინვაა?—გაიფიქრა ჩერვიაკოვმა.—აქ არავითარი დაცინვა არ არის. გენერალია და იმდენი მოსაზრება არა აქვს, რომ მიჰხვდეს. მაშ რადგან ესეა, ამის შემდეგ სრულიადაც არ დავიწყებ იმის წინაშე ბოდიშის თხოვნას. ჯანდაბას მაგისი თავი! მივწერ წერილს, მორჩა და გათავდა. ბოდიშის მოსახდელად-კი იმასთან სრულიად აღარ მოვალ!“

ასე ფიქრობდა ჩერვიაკოვი, როდესაც შინისკენ მიდიოდა. გენერალთან წერილი ვერ დასწერა. იფიქრა, იფიქრა, ბევრჯელ ახალა თავი ქვას, მაგრამ მაინც ვერ მოახერხა. მეორე დღეს იძულებული იყო კვლავ მისულიყო გენერალთან ბოდიშის მოსახდელად.

— მე გუშინ მოვედი და შევაწუხე თქვენი —ღება, —ჩაიბურტყუნა იმან, როდესაც გენერალმა შეაჰყიტა თვალები:— იმიტომ კი არა, რომ დამეცინა, როგორც თქვენ ინებეთ და ბრძანეთ. მე ბოდიშს ვიხდიდი იმიტომ, რომ ცხვირის დაცემინებით შეგაწუხეთ და შემოგაწინწკლეთ... რაც შეეხება იმას, რომ მე თქვენთვის დამეცინა, არც კი გამივლია აზრად. ფიქრადაც ვერ გავივლებ თქვენ დაცინვას. ჩვენისთანებმაც რომ დაცინვა დაიწყონ, მაშინ ხომ მაღალ-წოდებისადმი პატივისცემა... აღარ იქნებოდა... მოისპობოდა...

— გასწი, გაეთრიე!—წამოიყვირა მოთმინებიდან გამოსულმა და მთლად ბრაზებისაგან გალურჯებულმა გენერალმა.

— რას მიბრძანებთ?—იკითხა, თითქმის ჩურჩურით ჩერვიაკოვმა და შიშისაგან მთლად აცახცახდა.

— გასწი, გაეთრიე!—კვლავ გაიმეორა გენერალმა ფეხების ბრახუნით.

ჩერვიაკოვს მუცელში რაღაცა ჩასწყდა და რეტ-დასხმული ისე მივიდა კარებთან, რომ აღარაფერი დაუნახავს და არც არა უგრძვნია-რა. გამოვიდა ქუჩაში და მოჰკურცხლა...



დაბრუნება.—სურ. კალდერონისა.

გენერალმა შეიცვალა სახე და ჩაიქნია ხელი:

— თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, დამცინით თუ რა არის!—სთქვა გენერალმა და ცხვირ წინ მოუხურა კარები.

მივიდა სახლში, ტანისამოსი აღარც-კი გაუხდია, ისე გადაწვა სავარძელზედ და... მოკვდა.

ივ. გარეთ-უბნელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებიდან



სტუმარი. გულით გირჩევთ, ქალბატონო, მარქსის ფოტოგრაფიაში გადაადებინოთ თქვენი სურათი. ჩემი სურათი იქ მშვენივრად გადაიღეს.



— წარმოიდგინე ჩემი გულითადი მეგობარი ჟანი საათში შვიდ მანეთს იღებს რედაქციებიდან.

— მაშ ძალიან ბევრ ფულს უნდა იღებდეს და რაღას წუწუნებ?

— კიდეც ეგ არის, რომ ნახევარ საათსაც არა მუშაობს დღეში.



კაცი. ამოდენა მთის მწვერვალზე იმიტომ ამოვედით, რომ მარტონი ვყოფილიყავით და არავის დაეშალა ჩვენთვის ალერსი, მაგრამ აქაც არ გვასვენებენ, ვიღაცეები მოდიან.



უფროსი მოსწავლე. ბ-ნო მასწავლებელო, უთუოდ დასაჯეთ ეს პატარა ვანო: პაპიროსს ეწევა.

უმცროსი მოსწავლე. ტყუილს მიგონებს, ბ-ნო მასწავლებელო, მართალია წინად ვსწევდი, მაგრამ კარგა ხანია, რაც თავი დავანებე.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Доз. ценз. Тифлисъ, 17 сентября 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა.